

## კონტრაცეფცია და ოჯახის დაგეგმვა ერის გენოციდის დაგეგმვა!

კონტრაცეპტიურ აბებს შეიძლება ვუწოდოთ აბები ბავშვების წინააღმდეგ. ისინი შედეგებიან ხელოვნური ჰორმონებისაგან, რომლებიც ჯანმრთელ ქალს ავადმყოფად აქცევენ. კონტრაცეპტივები ქალის ორგანიზმს ხდიან მიდრეკილს ისეთი დაავადებებისადმი, როგორცაა: მკერდის, საშვილოსნოსა და კანის კიბო, ინსულტი (ტვინში სისხლის ჩაქცევა) და ინფარქტი, ინფექციური დაავადებები. კონტრაცეპტივები აზიანებენ მხედველობის ნერვს და ღვიძლს, იწვევენ სისხლის შედელების დარღვევებს, თრომბოემბოლიას (ვენების დაცობა, განსაკუთრებით – ფილტვებში), ვენების ანთებას, იმუნური სისტემის დაქვეითებას და სხვა.

კონტრაცეპტივებს აქვთ მოქმედების 4 მექანიზმი:

- 1) ხელი შეუშალოს კვერცხუჯრედის მომწიფებასა და საშვილოსნოში გამოსვლას (ოვულაციას), მაგრამ ოვულაცია მაინც ხშირად ხდება;

- 2) აზიანებენ საშვილოსნოს ყელის ლორწოვან გარსს და ხელს უშლიან სპერმატოზოიდების საშვილოსნოში შეღწევას, მაგრამ ისინი მაინც აღწევენ იქ;

- 3) აზიანებენ საშვილოსნოს ლორწოვან გარსს – გარსი თხელდება და ახლადჩასახული ბავშვისთვის (ემბრიონისთვის) საშვილოსნოში საკვები ნივთიერება (გლიკოგენი) მცირდება, და იგი კვდება შიმშილისაგან;

- 4) არღვევენ საკვერცხე სადინარების მოძრაუნარიანობას, რის გამოც განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ვერ აღწევს საშვილოსნოში და ილუპება, ქალი კი ვერც იგებს, რომ ორსულად იყო.

როგორც შენიშნეთ, აბებს შეცდომით უწოდებენ „ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს“, რადგან ჩასახვა მაინც ხშირად ხდება, ემბრიონი ილუპება ჩასახვის პირველ დღეებში, – ან სადინარში, ან საშვილოსნოში შიმშილით, ხოლო დედა ვერც კი გებულობს, რომ მის საშვილოსნოში მიკროაბორტი მოხდა. ამიტომ, ასეთი აბების გამოყენება აბორტის ტოლფასია და

ამ გზით მოკვდინებული ემბრიონების რიცხვი არ ჩამოუვარდება ქირურგიული წესით მოკლულ ემბრიონთა რაოდენობას. საუბრობენ არააბორტული ქმედების კონტრაცეპტივებზე, მაგრამ ნებისმიერი სახის კონტრაცეპტივები არ იძლევა 100%-იან გარანტიას – ჩასახვები მაინც ხდება და აბორტის პრობლემა არ იხსნება. გთავაზობთ გამოცდილებას, რომელსაც გვიზიარებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები:

**რუდოლფ ინანი**, (შვეიცარია, აკუმერული კლინიკის დირექტორი): „დღეს უკვე აღარავინ დავობს, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო აბების გამოყენება ზრდის ქალის სხვადასხვა სენით დაავადების ხარისხს. ჰორმონალური კონტრაცეპტივების მოქმედების შედეგად მცირდება ორგანიზმის იმუნური დაცვა. რისკის მეორე ზონა შეეხება გულ-სისხლძარღვთა სისტემის იმგვარ დაავადებებს, როგორც არის მიოკარდის ინფარქტი, ინსულტი, თრომბოზი. მეორე თაობის პრეპარატები სამჯერ ზრდიან ინფარქტის რისკს, ხოლო ეს რისკი ათჯერ იზრდება მესამე თაობის პრეპარატების გამოყენების დროს. რისკი ასჯერ იზრდება, თუ ჯანმრთელობის საერთო ფონი სხვა არასასურველი ფაქტორებით არის დამძიმებული, როგორცაა ჰიპერტონია, დიაბეტი, ზედმეტი წონა, სიგარეტი, ალკოჰოლი. რისკის კიდევ ერთი ზონა – ეს არის ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნის საშიშროება, განსაკუთრებით, თუ პრეპარატს იყენებენ 20 წლამდე ასაკში. ჰორმონალური პრეპარატების ხმარება ზრდის სარძევე ჯირკვლის კიბოს რისკს. დადგენილია, რომ თუ ამ პრეპარატებს იყენებენ 20 წლამდე და, განსაკუთრებით, პირველ ფენმძიმობამდე, მკერდის კიბოს გაჩენის რისკი 3,5-ჯერ იზრდება. ინექციით ეს რისკი უფრო მეტად – 4,1-ჯერ იზრდება. ჰორმონალური პრეპარატების ხმარება იწვევს ფსიქიკის დარღვევას, ორჯერ იზრდება ენდოგენური დეპრესიის დონე“.

ეკლესიის სწავლების მიხედვით, რაც მეცნიერულადაც დადასტურებულია, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი (ემბრიონი) მყისიერად ხდება ადამიანი, რომელსაც აქვს სრულყოფილი სული, გენეტიკა, მაგრამ ფიზიკურად ჯერ არ არის განვითარებული. ამიტომ ემბრიონის მოკვდინება, იქნება ეს კონტრაცეპტივებით თუ ქირურგიული ჩარევით, სრულყოფილი ადამიანის მოკვდინების ტოლფასია და მკვლელებს, მშობლებს თუ ექიმებს, მთელი სიმძიმით მოუწევთ პასუხისგება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე სახარებაში გვეუბნება: **„ამინ გეტყვი თქვენ, რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“** (მათე, 25,40). პაწაწინა ახლადჩასახული ადამიანი არის სწორედ ეს მცირეთაგანი, ანუ ჩვენი პატარა ძამიკო თუ დაიკო, და თუ მას კლავთ, მეცა მკლავთო, გვეუბნება მაცხოვარი. მუცელში ჩანასახის მოკვდინება, რა ასაკისაც არ უნდა იყოს იგი, ვითომ და ოჯახის დაგეგმვის, მისი წარმატებისა და კეთილდღეობის მომიზეზებით, არის ღმრთის განგების წინააღმდეგ სვლა და სძაგს უფალს. უფალი გვეუბნება სახარებაში: **„ნუ ჰზრუნავთ და იტყვიით, რა ვჭამოთ, ანუ რა ვსვათ, ანუ რა შევიძოსოთ. . . თქვენ ეძიებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველივე შეგეძინოთ თქვენ“** (მათე, 6,31-33). ანუ, თუ ღმრთის მცნებებით ვიცხოვრებთ, და ვიყოლიებთ იმდენ შვილს, რამდენსაც ღმერთი მოგვცემს, იგი უსახსროდ არც ერთ მათგანს არ დატოვებს.

მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება არა მხოლოდ ქირურგიული აბორტი, არამედ კონტრაცეფცია, სტერილიზაცია. ცალკე გამოვყოთ შობადობის შობადობის ის გზები, რომლებიც თანხმობაში არ არიან ღმერთის ჩანაფიქრთან, ანუ კანონიერი ქორწინებით გამრავლებასთან, ყველა ისინი ეკლესიის

მიერ მიჩნეულია უზნებოდ და ცოდვად. მაგალითად, სასქესო უჯრედების დონორობა არღვევს პიროვნების მთლიანობასა და ქორწინებით კურთხეულ ურთიერთობებს, უშვებს რა მესამე მხარის შემოჭრას, უპასუხისმგებლო მამობასა და დედობას. დონორული მასალის გამოყენება არღვევს ოჯახური ურთიერთობების საფუძვლებს, რადგან „სოციალური მშობლების“ გარდა გულისხმობს „ბიოლოგიური მშობლების“ არსებობას.

„სუროგატული დედობა“, ანუ განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ჩანერგვა და გამოზრდა ქალში, რომელიც მშობიარობის შემდეგ ბავშვს დამკვეთს აძლევს, არაბუნებრივია და მორალურად დაუშვებელია, თუნდაც ეს უანგაროდ ხდებოდეს, რადგან ეს მეთოდი არღვევს ღრმა ემოციურ და სულიერ სიახლოვეს, რომელიც მყარდება დედასა და შვილს შორის ორსულობის დროს. „სუროგატული დედობა“ ხელყოფს მუცელში გამოზრდელის დედობრივ გრძნობებს, ასევე, ბავშვსაც შეიძლება მომავალში დაეწყოს თვითშეგნების კრიზისი.

მართლმადიდებლური თვალსაზრისით დაუშვებლად ითვლება ყველანაირი ექსტრაკორპორალური (სხეულს გარეთა) განაყოფიერება, რომელიც გულისხმობს ემბრიონების დამზადებას სინჯარაში, კონსერვაციას, „ჭარბი“ ემბრიონების მოკვდინებას (სტატიისტიკა გვაჩვენებს, რომ სინჯარაში განაყოფიერებულ ბავშვთაგან იბადება 5%-ზე ნაკლები, დანარჩენები კვდება).

მარტოხელა ქალების განაყოფიერება დონორული სასქესო უჯრედების გამოყენებით, ასევე მარტოხელა კაცებისა და სექსუალურად გადახრილი პირების შვილის ყოლის, ანუ ე.წ. „რეპროდუქციული უფლებების“ რეალიზება ართმევს ბავშვს დედისა და მამის ყოლის უფლებას. ასეთი რეპროდუქციული მეთოდების გამოყენება არის ღმრთის გმობა და ბოროტება, რომელიც ხორციელდება ადამიანის ავტონომიისა და გაუკუღმართებულად გაგებული პიროვნების თავისუფლების საფარველით.

არ შეიძლება ისეთი დიაგნოსტიკური პროცედურების ჩატარება, როგორცაა ადრეული ამნიოცენტეზი, რომლის

მიზანია ჯერ არდაბადებული ავადმყოფი ბავშვების გამოვლენა და მათი მოკვდინება. არავინ გამხდარა ბედნიერი, ვინც მოკლა ადამიანი, მითუმეტეს დაუცველი ემბრიონი, მაგრამ მრავალი გამხდარა ბედნიერი, ვინც ავადმყოფს მოუარა. ამასთან არის იმის საფრთხეც, რომ თქვენ არა ავადმყოფი, არამედ სრულიად ჯანმრთელი ბავშვი მოკლათ. სამწუხაროდ, ეს ხდება არა მხოლოდ ექიმების უნებლიე შეცდომის ხარჯზე. სწორედ ამ მეტად დამაფიქრებელ და საგანგაშო მოვლენაზე გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ. ჩვენ დაფიქსირებული გვაქვს უამრავი ფაქტი, როდესაც ექიმებმა ურჩიეს მშობლებს, რომ ჩანასახი არასრულფასოვანია და მოიშორეთო, მშობლებმა მიმართეს ეკლესიას, მოძღვარს, რომლის რჩევითაც მათ არ დაუჯერეს ექიმს, არ მოიშორეს ბავშვი, დედამ იმშობიარა და დაბადა სრულიად ჯანმრთელი და სრულფასოვანი ბავშვი. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ასეთ ექიმებს აქვთ მითითება, რაც შეიძლება მეტი აბორტი „გამომიშუაონ“, ასევე – საკეისრო ჭრით ამშობიარონ (შობადობის შემცირების მსოფლიო პროგრამა, რომლის ნაწილია აბორტი, კონტრაცეფცია და მისთ., სცილდება ამ ბუკლეტის თემას, ამიტომ მასზე ყურადღებას არ შევაჩერებთ). ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ასეთი ექიმების დასახელებისაგან, თუმცა არ გამოვიცხავთ, რომ ერთ დღეს ვამხილოთ ისინი ერის წინაშე თავიანთი ბოროტმოქმედებისა და დანაშაულისათვის.

აბორტი, კონტრაცეფცია და ოჯახის დაგეგმვა – ესაა არა კეთილდღეობის, არამედ პიროვნული და ოჯახური უბედურების, სხეულისა და სულის დაავადებებისა და დაღუპვის, და, რაც მთავარია, ერის გენოციდის დაგეგმვა, რაც დემოგრაფიული კატასტროფით ემუქრება ჩვენს ერს.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ: ტელ.: 392 907;  
E-mail: [geoorthodox@yahoo.com](mailto:geoorthodox@yahoo.com)  
<http://www.religia.ge> (მშკ გვერდი)



**კონტრაცეფცია სძაგს უფალს  
ოჯახის დაგეგმვა –  
ერის გენოციდის დაგეგმვა!**



**იხმჭდება შვიმწირულოზებით  
პრცვილდება უფასოდ  
(სხვანსაც ზააკითხმთ)**